საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ... სამშაბათი, 19 აგვისტო 1919 წ. ...

# ერთობა

ფასი 1 მან.

ნომერი ყველგან 1 მანეთი ... განცხადებები 40 მანეთი ... განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

18 მარიამობისთვეს, დილის 7 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ნინო გაბრიელის ასული ივანიცკისა,**

რასაც შვილნი მისნი: მღ. აპოლონი, დეკანოზნი ტარასი და ვლადიმერი, ნიკოლოზი და რაფიელი და ქალნი მისნი პელაგია და სოფიო, რძლები და შვილის შვილნი მისნი აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ.

წირვა და ანდერძის აგება—ვერის წმ. ნიკოლოზის ტაძარში. დაკრძალვა 20 ამავ თვისა იმავ ეკლესიის სასაფლაოზედ. პანაშვიდები საღამოობით 7 საათზედ. გამოსვენება ცხედრისა მის შვილთა ბინიდან, სამიწისმზომელო სასწავლებელი, გუნიბის ქ., № 46. (1—1)

## ბოლშევიკები ამუშავდენ

ბოლშევიზმი ერთთავათ შედეგია უკულტურობის და ხალხის ფართო მასის გაჭირვების. ის ანგარიშს არ უწევს მოვლენათა შორის კავშირს, მათს თანდათანობას ცხოვრების კანონი, ისტორიული აუცილებლობა მისთვის ცარიელი სიტყვაა. ის არ დაგიდევს ამა თუ განზრახვის შესაძლებლობას მისთვის საკმაოა კეთილი სურვილი, თუნდაც ამ კეთილმა სურვილმა ათასი უბედურება გამოიწვიოს. რაც უარესი, მით უკეთესი, უყვართ მტკიცება ანარქისტებს ასევე იქცევიან ბოლშევიკები. მათ კარგათ იციან, რომ მათი ნაბიჯები დღეს დღეობით ოცნებაა, მაგრამ ფიქრობენ, რომ გადაისვრიან ლოზუნგს, გასწევენ აგიტაციას და ხალხს მისდა უნებურათ ჩაითრევენ ბრძოლაში, ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ალის გაჩაღებას, რომელიც მათი აზრით პირველათ იქ აინთება სადაც ხალხის მეთაურები მეტს გამბედაობას გამოიჩენენ.

ასეთია რუსეთის ბოლშევიზმი, რომლის შესახებ დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის ჯერ ჯერობით უძლეველი გამოდგა. იქ, რუსეთში, ვერ აღმოჩნდა ძლიერი და შეკავშირებული დემოკრატია, რომელსაც შესძლებოდა საქმის გაძღოლა. დაიბადა ორი ძალა, რომელიც ერთნაირათ ებრძვის ხალხის უმრავლესობას, რომელიც ერთნაირათ უარყოფს დემოკრატიის უნარს და მის უფლებას. ეს ორი ძალა დენიკინი და ბოლშევიზმია.

ბოლშევიკებმა დემოკრატიის დევნით თავი ისახელეს თავის მოღვაწეობის პირველ თვეებშივე, როცა საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. გარეკეს იმ საბუთით, რომ მას არ სურდა სოციალიზმის იმ წუთშივე განხორციელება.

მაშასადამე, სოციალიზმის შემოღება, ხალხის გაბედნიერება ბოლშევიკებმა ხალხის სურვილის წინააღმდეგ მოინდომეს, ძალით მაცხოვრობა განიზრახეს ამავე კეთილი მოსაზრებით გარეკეს დემოკრატიული ქალაქის საბჭოები და ყველგან სოვდეპიები დასვეს. დენიკინი და მისი რეაქციაც ებრძვის ხალხს, ისიც მოუმწიფებლათ სთვლის მას, მაგრამ სოციალიზმს როდი აჩენს ლენინივით, არამედ მემამულეების თავზე წამოსკუპებას უპირებს.

ამ რიგათ ორივე ეს ძალა, დენიკინიზმი და ლენინიზმი ერთნაირი ზიზღით უცქერის ხალხის უნარს და შემოქმედებას, იმ განსხვავებით, რომ პირველი, დენიკინი მას მონობის უღელში შებმას უპირებს, ხოლო მეორე—ლენინი გაბედნიერებას. ხალხს, რაც უნდა იყოს „გაბედნიერება" ურჩევნია და ამიტომ არის, რომ რუსეთის ხალხი მეტს სიმპატიას იჩენს ბოლშევიზმისადმი, ვინემ დენიკინისადმი, თუმცა ორივე ეჯავრება—როგორც ბოლშევიზმი, ისე დენიკინის რეაქცია. და რომ არც ერთს არ უცქერის ხალხი, მისსა დიდის თანაგრძნობით ეს იქიდან სჩანს, რომ დიდათ არც ერთის მოშორებას არ მისტირის, რის შედეგია ის, რომ ასე ადვილათ იცვლება ხან დენიკინი, ხან ბოლშევიზმი. მაგრამ რაც არ უნდა ითქვას, რუსეთის ბოლშევიზმს ყველა ცუდ თვისებებში ერთი ღირსება მაინც აქვს—ის იბრძვის გარეშე ძალების წინააღმდეგ.

როგორია ჩვენებური ბოლშევიზმი?

ჩვენებური ბოლშევიკები ბოლშევიზმის ყველა უარყოფით თვისებებთან ერთად მოკლებული არიან რუსეთელ ბოლშევიკების ამ ერთად ერთ ღირსებასაც. ჩვენებური ბოლშევიკები, როგორც შემადგენლობით, ისე ობიექტიური მოქმედებით უცხო ძალას წარმოადგენენ. რითი იყვნენ ჩვენში ბოლშევიკები ძლიერნი მაშინ და შარშან წინ? იმით, რომ ფრონტიდან დაძრული რუსის ჯარი თფილისის ახლო იყო გზად დაბანაკებული. და ჩვენი ბოლშევიკებიც მთელ ძალ-ღონეს იმას ანდომებდენ, რომ ეს ჯარი შეწუხებული და გაჭირვებული, გზა აბნეული და გაბოროტებული აეყოლიებინათ და თფილისზე მოესიათ. თფილისში კი ამ დროს ადგილობრივი მუშათა დეპუტატების საბჭო გლეხთა საბჭოსთან შეთანხმებით განაგებდა საქმეებს. ბოლშევიკების განზრახვა იყო შეუგნებელ და გაბოროტებულ რუსი სალდათის ქუსლით გაეჭყლიტათ ადგილობრივი დემოკრატია, დაენგრიათ მისი ბატონობა და მის ნანგრევებზე კომისართა საბჭოს ძალა-უფლება აღემართათ. მერე რისთვის? იმისთვის, რომ ადგილობრივი ხალხი არ აჰყვა მათ გიჟურ ფეხის ხმას.

შემდეგ ბოლშევიკებმა კავკასიის ქედს გადმოღმა გააბეს მუშაობა მთელი ქედის გასწვრივ დუშეთიდან გორით და რაჭით ზუგდიდამდე და სოხუმამდე. ეს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის ხაზია. აქ ჩაითრიეს მათ გლეხები და ქართველ დემოკრატიასთან ბრძოლაში დაეყრდნენ ოს ნასტრაჟნიკლებს და აფხ. თავადებს. და რაც გასაშტერებელია, ელდის სისწრაფით გაუსხლტდენ ბოლშევიკები ხელიდან ჩვენი დემოკრატიის ბურჯს—სახალხო გვარდიას, რომელმაც დუშეთის და ზუგდიდ-სამურზაყანოს მიდამოებში რევოლიუციური წესრიგი აღადგინა და ხელში შეგვრჩა საწყალი ხალხი მოტყუებულ-გაბრიყვებული. იმდენ დაქერილებში არ აღმოჩნდა ერთი იდეიური მოწინააღმდეგე, ერთი პატიოსანი მებრძოლი. მუშიაშვილები და საშა და მიშა გეგეჭკორი—აი ვინ ქმნიდენ კომუნისტურ წყობილებას და კომუნიზმის სახელით ქართველ დემოკრატიას ებრძოდენ.

მოვიგონოთ თათრების შემოსევის წინ ბათომი, როგორ იქცეოდენ ჩვენებური ბოლშევიკები, როგორ შეუწყვეს მათ ხელი ოსმალოს შემოსვლას ჩვენში. ისინი არც მალავდენ თავის ცინიკურ ფილოსოფიას: საზღვრების დაცვა ბურჟუაზიის საქმეა, ბათომი მდიდრებმა დაიცონ, ჩვენ კი მთელი ქვეყნის პროლეტარიატს გაუწოდებთ ხელსო.

ასეთია ჩვენებური ბოლშევიზმი, დამარცხებული შინ, უარყოფილი მუშათა კლასში და გლეხობაში, განდევნილი ხალხის ორგანიზაციებიდან, ყოველგვარ თვითმართველობის უარმყოფელნი და ამ თვითმართველობის მიერ უარყოფილნი ჩვენებური ბოლშევიკები მაინც არ ისვენებენ და მოლალატურად ემყარებიან გარეშე ძალებს. როგორც ბარომეტრი აღნიშნავს ავდრის მოახლოვებას, ისე ბოლშევიზმის გამოცოცხლება ჩვენში მაჩვენებელია ან შინაურ სახალხო გაჭირვების, ან გარეშე მტრის მოახლოვებისა. ბოლშევიკები უმალვე იქ გაჩნდებიან, სადაც მოუსავლობაა ან შავი სახადი მძვინვარებს: მოიგონეთ მათ მიერ ექიმების გაჟლეტის მოწყობა. როცა თფილისს ცხოვრებას შავი სახადი ავლებდა მუსრს.

რაც უარესი, მით უკეთესი! კარგა ხანია არ გამოჩენილან ბოლშევიკები, მაგრამ დღეს ისინი ისევ ამოტივტივდენ ცხოვრების ზედაპირზე გურიიდან წერილები მოდის, რომ ისინი აქა-იქ გამოდიან სოფლებში. კაცმა რომ ნახოს ისინი, მაშინვე მიხვდება თუ რაშიაც არის საქმე: არც ერთი მშრომელი გლეხი მათთან არ არის; ვერც ერთ ინტელიგენტს მათ წრეში ვერ იპოვი, დეზერტირები, რომელნიც სალდათობას გარბიან, „გაინტელიგენტებული" ყმაწვილები, რომელთაც არც ცოდნა აქვთ და არც ფიზიკური შრომის უნარი. აი ეს ყმაწვილებია რომ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და სკანდალს ახდენენ: გასისხლიანებული მენშევიკები, ბურჟუა ჟორდანია—აი მათი სიტყვა-პასუხი.

მათ მაყურებელს არ შეიძლება არ დაებადოს მხოლოდ ერთი კითხვა: ეს „კომუნისტები", რომელთაც ხალხში არ აქვთ ორგანიზაცია, რომელნიც „არცა სთესენ, არცა მკიან", საიდან შოულობენ იმდენ ფულს, რომ არა თუ მძღარნი არიან, არამედ თავისუფლადაც ფლანგავენ? ამის პასუხი ერთად ერთია: ლენინი მოდის და იმუქრება ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან კი ოსმალეთი სისინებს და ამ დროს რომელიღაც ბნელი ხელი ფულს აძლევს ბოლშევიკებს ანარქიის მოსახდენათ, არევ დარევის გამოსაწვევად.

ეს დღესავით ნათელია.

ამის თავმდებია მთელი მათი მოღვაწეობის ისტორია და ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, როცა საქართველოს დემოკრატიას რამდენიმე მხრიდან ემუქრება გარეშე მტერი. ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ.

მართალია, ვიცით რომ ქართველი ხალხი არ იზიარებს ბოლშევიკურ მეთოდებს, ჩვენი დემოკრატია იმდენათ მომზადებულია, რომ არ აყვება დემოკრატიზმის უარმყოფელ მიმართულებას.

ამის იმედი ბოლშევიკებს არც აქვთ. აკი შარშან ამიტომ გადაიტანა ფილიპე მახარაძემ თავისი სამოქმედო ასპარეზი ჯავის ოსობაში. მან პირდაპირ უთხრა ჯაველებს: თქვენა ხართ კომუნიზმის არწივები, თორემ აბა გახრწნილი და დავადებული გურია რა მოსახსენებელიაო.

ბოლშევიკების მოქმედებას ერთი აზრი და მნიშვნელობა აქვს: ანარქიის შექმნა ხომ თავისთავადაც კარგი საქმეა და ბოლშევიკების გამრავლებაზე მთელი ქვეყნის გაზეთებს ამცნობენ ეს კი საშუალებას მისცემს ლენინს უფრო გაბედულათ გამოილაშქროს ჩვენ წინააღმდეგ და მოკავშირეების თანაგრძნობაც მისკენ იქნება, რადგან მოკავშირეები ებრძვიან ბოლშევიკებს.

აი ვის ემსახურებიან ბოლშევიკები, სიტყვით კი ლენინს ებრძვიან თითქოს.

ბოლშევიზმი ჩვენთვის თავის თავად საშიში არ არის. მაგრამ როგორც ძალა დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული, როგორც მიმდინარეობა, რომელიც ეწინააღმდეგება ერობას და ქალაქის თვითმართველობას, რომელიც უარყოფს ხალხის დემოკრატიულ კავშირს, უნდა დევნილ და დათრგუნულ იქნეს ბოლშევიზმი, როგორც გარეშე ძალის მომხრე, როგორც მოციქული რუსეთის ძალით გაბატონებისა, ჩვენში უნდა აილაგმოს.

## სოციალისტური კონგრესი ლიუცერნში

კონსტანტინეპოლის გაზეთ „რენესანს"-ში 5 აგვისტოს თარიღით მოთავსებულია შემდეგი ცნობები ლიუცერნის (შვეიცარია) საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესის შესახებ:

„სოციალისტური პარტიების დელეგატები მოდიან ლიუცერნში საერთაშორისო კონგრესზე დასასწრებლად, რომელიც უნდა გაიხსნას 2 აგვისტოს. ბრანტინგი დეპეშით შვეციაში გაიწვიეს, რადგანაც იქ ეხლა სამინისტრო კრიზისია. მისი წასვლის გამო კონგრესს გახსნის ჰენდერსონი. უკრაინის, ლიტვის და ჩეხო სლოვაკიის წარმომადგენლები კონგრესს პირველად ესწრებიან. სხდომები კონგრესს ექნება ლიუცერნის კურზალში. დაესწრება 75 დელეგატი, ამათში 10-მდე ფრანგი იქნება. ალბერტ ტომა იძულებული იყო პარიზში წასულიყო, რადგანაც დეპეშით გაიწვიეს. გამოურკვეველია, ექნება თუ არა მან შეძლება კონგრესს დაესწროს. ნავარაუდევია ორი კომისიის დაარსება, რომელთაგანაც ერთი საგარეო პოლიტიკის კითხვებს გაარჩევს, მეორე კი ინტერნაციონალის შინაგან ორგანიზაციის კითხვებს. თუმცა დღის წესრიგში აღნიშნულია 5 კითხვა, მაგრამ ეჭვი არაა მრავალი მეორე ხარისხოვანი კითხვები გააჭიანურებს კონგრესის მუშაობას, რომელიც, როგორც ფიქრობენ, გათავდება 15 ან 16 აგვისტოს".

## უკანასკნელი ცნობები

### ბაქოში.

მუშათა კონფერენციის მიერ გამოცხადებული გაფიცვის შესახებ გაზეთი „ადერბეიჯანი" შემდეგს სწერს: „მუშათა კონფერენციის მიერ 14 აგვისტოსთვის გამოცხადებული საერთო გაფიცვა არა თუ საერთო, არამედ კერძო ხასიათისაც არ გამოდგა. მცირე გამონაკლისს გარდა ქალაქის თითქმის ყველა წარმოებები მუშაობდა. ქალაქის ჩვეულებრივი ცხოვრების მიმდინარეობას არღვევდა რამდენიმეთ ზაფხულში ბაქოსთვის უჩვეულო სიცივე და ქარი. ყველაზე ადრე გაფიცულთ „ელექტრონის ძალა" გამოეთიშა, რომელსაც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა. მუშაობდა ტელეფონი, რკინის გზა, მუშაობდა აგრეთვე ნავთის სამრეწველოების დიდი უმრავლესობა. არც ქალაქის გამგეობა, არც ბანკები, არც კანტორები არ მიმხრობია გაფიცულთ, მიუხედავათ „ზევიდან" გაცემულ კატეგორიული ბრძანებისა. „ტელეგრაფის", „იტტიხადის" და მუსულმანურ გაზეთებს გარდა სხვა გაზეთები არ გამოსულა, ვინაიდან მუსულმანი მუშები არც ახლა მიემხრნენ გაფიცულთ. გაფიცვის აშკარა დამარცხება თვალსაჩინო იყო აგრეთვე იმ მხრითაც, რომ არსად არც ერთი მიტინგი არ გამართულა. რაიონებში სავსებით ჩაიშალა გაფიცვა. შავი ქალაქის სამრეწველო რაიონში არც ერთ მუშას არ აუღია ხელი მუშაობაზე. ბალახანაში ყველა სამრეწველოებში იყო მუშაობა.

ესერების „ზნამია ტრუდა" გაფიცვის ჩაშლის გამო შემდეგს სწერს: „გაფიცვა გამოაცხადა მუშათა იმ კონფერენციამ, რომელსაც არავითარი ავტორიტეტი არ მოეპოვება ბაქოს პროლეტარიატის უმრავლესობაში, რომელიც არ გამოხატავს პროლეტარიატის ნებას. მუშათა კლასის მტრები ბოროტად ხითხითებდნენ, სასაცილოდ იღებდნენ ამ დღეს მუშათა „უმაღლეს" ორგანოს ავტორიტეტს. გაფიცვის წინა დღით ყველა რაიონებში მრავალ-რიცხოვანმა მიტინგებმა დიდის ხმის უმეტესობით გაილაშქრეს გაფიცვის წინააღმდეგ და ამისთვის ჩაიშალა ის. 14 აგვისტომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ცენტრალური კონფერენციის უძლურება და მისი ხელმძღვანელების მოუმწიფებლობა. რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ჩვენ არ გვახსოვს იმის მაგალითი, რომ პროლეტარიატის ორგანო ისე დაცემულიყოს მუშათა თვალში, როგორც ეს ჩვენ ბაქოში ვიხილეთ 14 აგვისტოს...

14 აგვისტოს მთავრობამ დახურა დენიკინელების გაზეთი „როსსია" და ბოლშევიკების —„მოლოტი".

ინგლისის ჯარის წასვლა ბაქოდან „ზნ. ტრ." მიერ სარწმუნო წყაროდან მიღებული ცნობით დადგენითად არის გადაწყვეტილი. უკანასკნელი ეშელონი გავა 24 აგვისტოს. ინგლისის სამხედრო შტაბი კი გამოურკვეველი ვადით რჩება.

### ერივანი.

სომხეთის პარლამენტმა ნოტა გაუგზავნა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ბელგიის, სერბიის, საბერძნეთის, რუმინიის, ჩინეთის, ისპანიის, ნორვეგიის, შვეციის, ჰოლლანდიის, პორტუგალიის და სპარსეთის პარლამენტებს, რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია, რომ თუმცა ომი გათავდა და ზავიც ჩამოვარდა, მაგრამ პატარა სომხეთისთვის ჯერ არ დამდგარა თავისუფლების დღე, როგორც გამოცხადებული იყო რამდენიმეჯერ მოკავშირეთა მთავრობების და პარლამენტების მიერ. სომეხი უბედური ერი დატოვებულია თავის ბედის ამარა და სისხლისგან იცლება თავისი ძველი ჯალათის ოსმალეთთან ბრძოლაში.

# დ ღ ე ს

**ლისაბონში და ლიუქსემბურგში არეულობებია.**

**უნგრეთის ახალი კაბინეტი შესდგა.**

**სამხრეთ-სლავიანთა ჯარი დასავლეთი უნგრეთის დაკავებას განაგრძობს.**

**რუმინია თავის მოქმედებას უნგრეთში იმით ამართლებს, რომ უნგრეთმა არ შეასრულა საზავო პირობებიო.**

**ყალბი ცნობების მოთავსებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრმა დახურა ხაორშაბათო გაზეთი „ნოვი დენი“.**

## პროვოკატორების მუშაობა

უკანასკნელ ხანებში თფილისში ვრცელდება სენსაციური ხმები, რომლებიც ეხება ჩვენი რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობას.

ამ ხმებს ავრცელებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისა და კერძოდ საქართველოს მტრები—აშკარა თუ ფარული აგენტები დენიკინისა. მათი მიზანი აშკარაა: შექმნან პანიკა ხალხში, დეზორგანიზაცია შეიტანონ რესპუბლიკის დამცველ ძალებში.

სამწუხაროდ, ამ ხმებს აჰყვა ზოგიერთი გაზეთები და ჰბეჭდავენ კიდეც ამ პროვოკაციულ ჭორებს და ამით ხელს უწყობენ ჩვენ მტრებს. ამ მხრივ ყველაზე მეტ ერთგულებას იჩენს გაზეთი „ნოვი დენი“, რომელიც ყოველ კვირა ბეჭდავს თავის ფურცლებზე ამ ჭორებს. ეს ქუჩური გაზეთი არ ერიდება არავითარ სენსაციას, რომელიც მას ამოუკრეფია „სანდო წყაროებიდან“, „მეტად ავტორიტეტული პირის სიტყვებიდან“, „ინგლისურ და ქართულ წყაროებიდან“ და სხვ. უკანასკნელი ნომერი „ნოვი დენი“-სა სავსეა ამგვარი „ცნობებით“. გუშინდელ ნომერში მოთავსებულია „დეპეშის“ შინაარსი, რომელიც ჩვენ მთავრობას ვითომ მიუღია და რომლის ძალით უნდა შეიცვალოს მისი პოლიტიკა; გაზეთი სწერს, რომ „დენიკინის ჯარები განმზადებულნი დგანან საქართველოსა დი ადერბეიჯანის საზღვრებთან და რომ ამ დღეებში ყველაფერი გამოირკვევაო“ სწერია, რომ „მოკავშირენი ხელს არ უშლიან, რომ დენიკინელები ბაქოში შევიდნენო“. სათაურით „უკანასკნელი საათი“ ვტყობილობთ, რომ „საქართველოს ინგლისის პროტექტორატი მიუღია“ და სხვ.

ყველა ამ პროვოკაციულ ხმებს განსაზღვრული მიზანი აქვს და ემსახურებიან ჩვენ მტრებს, რადგანაც მათ სურთ ისეთი მდგომარეობა შექმნან, თითქოს ჩვენი რესპუბლიკა უფსკრულის პირზე იდგეს.

## სევერიანე და კოლა

დღევანდელ დღეს, ამ ათი წლის წინათ, მეტეხის ციხეში გარდაიცვალა ამხანაგი სევერიანე ჯუღელი.

ის ერთი კვირის წინათ დაიჭირეს ჩვენი პარტიული გაზეთის რედაქციაში; ბრალათ ედებოდა მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრობა...

ამ ექვსი თვის წინათ, თავის სამშობლო სოფელ ქვემო გომში სახადით გარდაიცვალა ახანაგი კოლა კაციაშვილი.

ამხანაგი სევერიანე მსხვერპლი გახდა მეფის ჯალათებისა, კოლა, თუმცა გადაურჩა მეფის ჯალათებს, მაგრამ ის იმსხვერპლა ულმობელმა სენმა.

ყოველი პარტიული მუშაკი ბევრ რამეს ამოიკითხავს ამ ორი ამხანაგის ცხოვრებაში, ბევრ სამაგალითო სახელმძღვანელო აზრებს მიიღებს პარტიული მუშაობისათვის.

მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეპყრობა—გასამართლებისა და კატორღაში გაგზავნის შემდეგ სევერიანე თავის საყვარელ საქმეს—გაზეთში მუშაობას დაუბრუნდა. რამდენი სახელი გამოიცვალა ჩვენმა გაზეთმა, რამდენჯერ დახურეს ის... კიდევ უფრო ხშირათ იცვლებოდა გაზეთში მომუშავეთა საიდუმლო ბინებიც, საიდანაც გაზეთს ხელმძღვანელობას უწევდნენ.

აი ერთ ასეთ ბინაზე, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე, სხვებთან ერთად შეიპყრეს სევერიანე და როცა მასალების დაგვიანების გამო სტამბიდან კაცი წავიდა რედაქციაში ამბის გასაგებად, ვორონცოვის ხიდიდან ამ საიდუმლო ბინის კარებში ჩასაფრებული „გოროდოვოის“ ქუდი და „პაგონები“ შენიშნა...

აქ გადაწყდა სევერიანეს ბედიც!..

ამ დროს კოლა, აგრეთვე ყოფილი წევრი მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა, სოფლად ეწეოდა მუშაობას. თავის გონიერი, მოფიქრებული პრაქტიკული ...ების ანგარიშებს რედაქციას და ხელმძღვანელ ორგანოს აწვდიდა. წერილებში, რომელსაც ჩვენს გაზეთში ათავსებდა, კოლა აშუქებდა სოფლის ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს. სოფლის მუშის ტკივილები, აი რა იყო ამ წერილების დედა ძარღვი!

ყველა პარტიულ ამხანაგს აახლოვებს ერთმანეთთან იდეური მუშაობა, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული იყო ამ ორი ამხანაგის იდეიური კავშირი...

სევერიანეს შემდეგ მთელი 9 ნახ. წელი შესძლო კოლამ დაბრკოლებათა გადალახვა, იბრძოდა, მუშაობდა, არ სცოდნია რა იყო მოსვენება...

ორივე ამხანაგის მუშაობას განსაკუთრებული კავშირი ჰქონდა ჩვენს რედაქციასთან, და სანამ საქართველოში ჩვენი პარტიული გაზეთი იარსებებს, სევერიანეს და კოლას ხსოვნა განსაკუთრებულის სიცხოველით იქნება აღბეჭდილი ჩვენს გულში.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

17—18 აგვისტო

### ინგლისური პრესის ცნობები.

როგორც ამბობენ, ვენიზელოსმა ვილსონს კონტრ-წინადადებები წარუდგინა. ის წინანდებურათ მოითხოვს, რომ ფრაკია საბერძნეთს გადაეცეს, მაგრამ ამასთანავე წინადადებას იძლევა, დედეაგაჩი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდეს და დედეაგაჩიდან ბულგარეთში მიმავალი რკინის გზა—საერთაშორისოდ. ვენიზელოსი საზავო კონფერენციაზე კარგ დიპლომატად ითვლება, რასაც მოწმობს მისი უკანასკნელი პროექტი, რომელიც სავსებით ეთანხმება ვილსონის უკვე დაკანონებულ გეგმას დანციგის და პოლონეთის შესახებ.

ხუთთა საბჭოს შეკითხვაზე დროებითი ზავის პირობების შესახებ რუმინელებმა განაცხადეს, რომ დროებითი ზავის ხელშეკრულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უნგრელებმა მისი პირობები არ შეასრულეს.

რუმინელებს იმედი აქვთ, რომ თავის ორთქლმავლებს და ვაგონებს უკან მიიღებენ და რადგანაც თავის მინდვრების სამი მეოთხედი დათესილი აქვთ, 50,000 ვაგონს სურსათ-სანოვაგის გაზიდვას შესძლებენ, რითაც ამნაირად თავის მდგომარეობას გააუმჯობესებენ. მათ სურთ აგრეთვე დაიბრუნონ გატაცებული ოთხფეხი საქონელი, მაგრამ აცხადებენ, რომ მათ განზრახვა არა აქვთ დაიტოვონ უნგრეთიდან წამოღებული სამხედრო მასალა და საზავო კონფერენციის განაჩენით დაუყოვნებლივ გადასცემენ მთელ არტილერიას, ტყვიისმფრქვეველებს და სხვა სამხედრო მასალას.

### იტალიური პრესის ცნობები.

ლისაბონში რკინის გზის მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. სად. სანტო აპოლონიაში ყუმბარები ისროლეს. 5 გაფიცული დააპატიმრეს. მათ აღმოაჩნდათ ლისაბონის სწრაფი მატარებლის ლიანდაგიდან გადაგდების გეგმა.

მართლდება ცნობები ლიუქსემბურგის საჰერცოგოს სატახტო ქალაქში მომხდარ ამბების შესახებ. ბრბო შეიჭრა დეპუტატთა პალატაში, სადაც რამდენიმეჯერ გაისროლეს.

### ფრანგული პრესის ცნობები.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ შეადგინა რუმინელების ნოტის პასუხი. რუმინიის ჯარის მთავარსარდლობას ებრძანა მოკავშირეთა ინსტრუქციების თანახმათ იმოქმედოს. უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა რუმინიას გაუგზავნოს პასუხი, რომელშიაც ურჩევს თავისი მოქმედება ბუდაპეშტში მყოფ მოკავშირეთა კომისიის მოქმედებას შეუთანხმოს.

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ბულგარეთის ხელშეკრულების ეკონომიური პირობები.

ბუქარესტიდან დეპეშა მოვიდა, რომ მთავარსარდალი შემდეგს იუწყება: რუსეთის მმართველები წინადადებას იძლევიან, რომ დაგვითმობენ სამხედრო მასალას, ზარბაზნებს, ტყვიისმფრქვეველებს და სხ. მთავარსარდალი ინსტრუქციებს თხოულობს როგორ მოიქცეს.

### ბალშევიკების ცნობები.

**მოსკოვი**. აგვ. 16. **სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი**. ჩრდილოეთი დვინის მიმათ. ჩვენმა ჯარმა 5 ვერსით უკან დაიხია. **დასავლეთის ფრონტი**. კორელის ყელზე ბელოსტროვის ჩრდილო აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პსკოვის რაიონში ბრძოლაა. რკინის გზის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა. **სამხრეთის ფრონტი**. მინსკის რაიონში მდ. სლუჩზე ჩვენი ჯარი იბრძვის. ზენკოვის მიმართ. მდ. პსიოლზე მტერი გადმოსვლას შეეცადა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. სუმა ბელგოროდის მიმართ. ჩვენ ქალ. სუმი დავსტოვეთ. კურსკ-ბელგოროდის მიმართ. ჩვენი ჯარი იბრძვის. ბელგოროდის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ბორისისოგლებსკის ჩრდილო-დასავლეთით 16 ვერსზე სადგ. გრიზანოვკა დაიჭირა. კრასნოიარის და კამიშინის მიმართ. ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. კამიშინის ჩრდილოეთით 70 ვერსზე ბრძოლის დროს ჩვენ 1000 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ 80 ტყვიისმფრქვეველი, 200 ფურგუნი და სხვა მრავალი სამხედრო მასალა. № ის არმიის შტაბი. პსკოვის რაიიონში ჩვენი ჯარი მტერს წინააღმდეგობას უწევს, შეტევას განაგრძობს და ბრძოლით წინ მიიწევს. პსკოვის სამხრეთით ჩვენ შეტევაზე გადავედით. მტრის ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც სად. ლოკოტს უახლოვდებოდა უკუ ვაგდეთ. მარენბურგის მიმართ. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პოდუღლას რაიონში ჩვენ დაახლოვებით ვერს ნახევარი უკან დავიხიეთ **მოსკოვი** აგ. 17. სამხ ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. სამოზეროს ტბის დასავლეთით სოფლები ავიღეთ. დასავლეთის ფრონტი. პსკოვის რაიონში მდ. ველიკაიას დასავლეთით ჩვენმა ჯარმა სოფლები აიღო. ვილეიკის მიმართულებით ჩვენ ჯარს მტერმა ბუდსლავი დააცლევინა. მინსკის მიმართულებით ბობრუისკის რაიონში მტერმა დაბა სვისლოჩი დაგვატოვებინა. ლუნინეცკისკენ მტერმა ჩვენი ჯარი მდ. სლუჩის აღმოსავლეთით გადმოდევნა. სამხრეთის ფრონტი. მირგოროდისკენ ქ. ლუბნოსთვის ბრძოლაა. ზენკოვისკენ ქ. გადიაჩი დავტოვეთ. სუმის ჩრდილო-დასავლეთით 25 ვერსის მანძილზე ბრძოლაა. ნოვოსკოლსკის, სვირის და ესტრატოვის მიმართ. ჩვენი ჯარი წინ მარჯვედ მიიწევს. ნოვოხოპერისკენ სოფ. ბ სად. კოლენოვო ავიღეთ. ბალაშოვის სამხრეთ დასავლეთით 35 ვერსის მანძილზე მკაცრი ბრძოლაა. **აღმოსავლეთის ფრონტი**. ჩორნი იარის რაიონში შეტევას განვაგრძობთ. ელტონის ნავთსადგურიდან მტერი განვდევნეთ. ორენბურგის დასავლეთით ქ. ილეცკის სამხრეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე გამაგრებული ხაზი ავიღეთ. მტერი თავზარ დაცემული სამხრეთისკენ გაიქცა. ორენბურგთან აღმოსავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთისკენ შეტევას ვაძლიერებთ. ბუგულჩანის სამხრეთ აღმოსავლეთით 65 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ჩრდილო აღმოსავლეთით შეტევას განვაგრძობთ. ვერხნეურალსკიდან 70 ვერსის მანძილზე 1 სოფელი ავიღეთ. ტროიცკ-ურსკდა ტროიცკ-კუსტანაიას რკინის გზის გასწვრივ ჩვენ მარჯვედ წინ მივიწევთ. ჩელიაბინსკის რაიონში მდ. ტობოლს 25 ვერსით დავუახლოვდით. ჩვენმა ჯარმა კურგანი აიღო. ტყვედ წამოყვანილთა რიცხვი და დავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. უკან დახეულმა მტერმა ვერ მოასწრო ტობოლზე რკინის გზის ხიდის აფეთქება. შადრინის რაიონში შეტევას განვაგრძობთ. იალუტუროვსკის დასავლეთით რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. **ნაუენი**, 15 აგვ. ვენიდან მოსული ცნობით, მოკავშირეებს სურთ უნგრეთის საქმეს კონტროლი გაუკეთონ და ამ მიზნით რუმინიას მანდატს აძლევენ. ამ ცნობამ ბუდაპეშტში დიდი მღელვარება გამოიწვია. **ნაუენი**. 15 აგვისტო. მდგომარეობა აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომელიც, გადაწყვეტილია სომხეთის რესპუბლიკას შეუერთდეს, ძლიერ გამწვავდა. ამერიკის დივიზია უკვე მზად არის სტამბოლში წასასვლელად მცირე აზიაში ამერიკის წარმომადგენელი მოითხოვს ეხლა, რომ ბრიტანიის ჯარი გაგზავნილი არ იქნას. ამის გამო „ფორვერტს“ ი სწერს: „იმის მაგიერ, რომ ხალხს ზავი მოუტანონ, როგორც ეს დიდი ზეიმით პარიზში იქნა დაპირებული, ერთ ხალხს მეორეს წინააღმდეგ აღიზიანებენ ახალ სისხლის სადვრელად და სუსტს ერს ძალადობის ქვეშ აყენებენ. **ლიონი**, აგვ. 16. დღეს შესდგა უნგრეთის ახალი კაბინეტი, რომელშიაც შედიან ფრიდრიხი—თავმჯდომარე, უპორტფელოდ, ლოვაში—საგარეო საქ. მინისტ., გენშნეცერი—სამხედ. მინ., გრაფი ტელსკი—ზავისთვის მზადების მინისტ. **ლონდონი**. აგვ. 11 ინგლისის სამხედრო სამინისტრო კავკასიის ამბების შესახებ ოფიციალურათ იუწყება, რომ რუსეთის სომხეთის რესპუბლიკის სამხრეთ საზღვრებიდან შეიარაღებულ ძალთა გამოყვანას მოყვა სამხედრო მოქმედებას განახლება ერთის მხრით თათრებსა და ქურთების შორის, და მეორეს მხრით სომხების შორის შეტაკება გამოიწვიეს ოსმალებმა, რომელთაც 10,000 კაცი შეიარაღეს. იყო აგრეთვე ინგლისელებზე თავდასხმის რამოდენიმე შემთხვევა. **ლიონი**. აგვ. 16. ბერლინის გაზ. „ამ მიტაგ“ იუწყება, რომ სამხრეთ სლავიანთა ჯარი დასავლეთ უნგრეთში შესვლას განაგრძობს. უნგრეთის ჯარს ნაბრძანები აქვს მათ წინააღმდეგობა არ გაუწიოს.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება სხდომა საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის თფილისის კომიტეტის.**

**გაზ. „ნოვი დენი“-ს დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ განიხილა რა მან „ნოვი დენ“-ის მე-47 ნომერში მოთავსებული ცნობები—სათაურით: „ანტანტა და საქართველო“, „დენიკინი მოიწევს“, „საჭირო თავგანწირული წინააღმდეგობა“, „ადერბეიჯანი საშიშროების წინაშე“, „შეთანხმება საქართველოსი ინგლისთან“ და სხვა პროვოკაციული ცნობები, რომელნიც მღელვარებას და არევ-დარევას იწვევს ხალხში, დაადგინა: გაზ. „ნოვი დენი“ იქნას დახურული, რედაქცია და კანტორა დაბეჭდილი და გაზეთის რედაქტორი დაპატიმრებული. საქმე გადაეცეს ოლქის სასამართლოს პროკურორს.

**სომეხი ლტოლვილები.** დღეს თფილისიდან ყარსში გაემგზავრება სომეხ ლტოლვილთა მატარებელი.

**ტუსაღების გაქცევა.** იუსტიციის სამინისტროს ატყობინებენ, რომ დუშეთის სატუსაღოდან გაიქცა 28 ტუსაღი. ტუსაღებს მოუსყიდიათ მცველები, რომელნიც მათთან ერთად გაქცეულან.

**„მწერლობის დღეობა“.** კვირას, 24 აგვისტოს ქართულ კლუბში ქართველ მწერალთა კავშირი მართავს პირველ გრანდიოზული „მწერლობის დღეობას“. გარდა ქართველებისა მონაწილეობენ ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, გერმანელი. რუსი, სომეხი, თათარი, თურქი, სპარსელი, მთიელი, ოსი, ბერძენი და სხვა ტომის მწერლები. საკონცერტო დარბაზში გაიმართება ინტერნაციონალური ბალეტი, ცეკვა ყველა ერისა. საღამოს პროგრამა მეტად ორგინალური და მრავალსახიანია.

**სამტრედიის სავაჭრო ბანკიდან 30 ათასი მანეთის** ყალბი საბუთებით მიღებისათვის სისხლის სამართლის მილიციამ 16 აგვისტოს შეიპყრო ქუთაისის მცხოვრებ ნიკოლოზ დარისპანის ძე ქელბაქიანი.

### კ რ ე ბ ე ბ ი.

— ოთხშაბათს, 20 აგვისტოს, საღ. 7 ნახ. საათ. სამაზრო ერობის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 6) შესდგება საზოგადო კრება საქ. ექიმთა პროფ. კავშ. თბილ. განყოფილებისა.

## დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები

**ახალციხე.** 16 აგვისტო. ახალციხის მაზრაში 30 ათას ხმიდან სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 24 ათასი, დაშნაკელებმა სამი ათასი, ვეშაპელმა ორი ათას ხუთასი, ჯავახეთში 22 ათას ხმიდან სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 13 ათასი. დაშნაკელებმა 7 ათასი, დანარჩენებმა ორი ათასი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 80 პროცენტმა.

— **ბორჩალოს მაზრაში,** მიუხედავად იმისა, რომ თათრის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მთაში იყო წასული პირუტყვით საზაფხულო საბალახოებზე, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 56 პროცენტმა: № 1 მიიღო 12,816 ხმა, № 2—153, № 3—799, № 4—1855, № 5—5511, № 6—6, № 7—5, № 8—860, № 9—1, № 10—1, № 11—2, № 12—4, № 13—37, № 14—0, № 15—552.

## მცირე შენიშვნა *)

(„ძველი მებრძოლის“ წერილის გამო).

„ერთობის“ 180 ნომერში „ძველი მებრძოლი“ უკმაყოფილებას გამოსთქვამს ჯარის რეორგანიზაციის საქმეში ჩვენი ნამუშევარის გამო. მისი წერილი შეეხება დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის მუშაობის იმ მხარეს, რაც გამოიხატება აფიცერთა პირად შემადგენლობის რეორგანიზაციაში.

სამხედრო კომისიამ, როცა გაატარა ყველა სამხედრო კანონები, მიზნათ დაისახა ჩარეოდა პირად შემადგენლობის რეორგანიზაციის საქმეშიდაც და გააკეთა ეს საქმე სამხედრო საბჭოსთან ერთად. კომისია ამ საქმეში ხელმძღვანელობდა ისეთი მოსაზრებებით, რაც ხელს შეუწყობდა მთავარ მიზანს,—დემოკრატიული ჯარის შექმნას, რომელიც არა მარტო მზათ იქნებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავათ, არამედ—უნარიც ექნებოდა თავის მოვალეობის შესასრულებლათ. ამიტომაც, როცა ამა თუ იმ თა-

*) „ძველი მებრძოლის“ წერილის მოთავსებით რედაქციას მხოლოდ ის სურდა, რომ გასწორებულიყო მომხდარი შეცდომები, რაც აუცილებელია ყოველ დიდ საქმეში. რედაქცია დარწმუნებულია, რომ „ძველი მებრძოლი“-ც ამასვე ფიქრობდა და მხოლოდ ამიტომ იქნა დასტამბული მისი წერილი.

რედ.

ნამდებობაზე წამოყენებულ აფიცერს ვეხებოდით, მისგან ვთხოულობდით არა მარტო პოლიტიკურ საიმედობას და ზნეობრივ სიფაქიზეობას, არამედ—თავის საქმის ცოდნასა და უნარსაც. უმთავრესი ყურადღება მივაქციეთ ხელმძღვანელებს, ხოლო მათი არჩევის შემდეგ მათთან ერთად შევადგინეთ სია დაბალი აფიცრებისა.

„ძველი მებრძოლი“ აღნიშნავს, რომ სამსახურში დარჩენ აფიცრები, რომლებიც შენიშნული არიან სამშობლოს მოღალატეობაში, ფულის გაფლანგვაში და სხვა. ეს შესაძლებელია და არც შეიძლებოდა სხვანაირათ: იმდენათ ბევრი იყო ჩვენ ჯარში უვარგისი (ამა თუ იმ მხრით) აფიცრები და მოხელენი, რომ შეუძლებელი იყო ყველას ერთბაშათ გამორკვევა. კომისიამ გამოიყენა ამ საქმისთვის ჯარში მყოფი სანდო ამხანაგები (მათ შორის ჯარის კაცებიც), მაგრამ ამ შემთხვევაში ფრთხილათ მოქმედებდა კიდევ უარესი შეცდომის თავიდან ასაცილებლათ, ხოლო ისეთ მასალას, როგორსაც გვაწვდის „ძველი მებრძოლი“ სულ ვერ ვაქცევდით ყურადღებას. მე მოგახსენებთ ხელმოუწერელ ცნობებს, რასაც კომისია ხშირათ ღებულობდა. „ძველი მებრძოლიც“ მოღალატეებზე სწერს, მაგრამ გვარს არ ამხელს. ეს კი სარგებლობის მაგიერ ზარალს მოიტანს: სამხედრო კომისიამ ჯარის ერთეულების სათავეში ჩააყენა ისეთი საქმის სიყვარულით გატაცებული პირები, რომ ჩვენი ჩარევაც არაა საჭირო შეპარულ შეცდომების გასასწორებლათ, როცა ამას ვინმე გამოააშკარავებს. „ძველი მებრძოლი“ რომ კეთილ ინებებდეს და მოღალატე გამფლანგველებს გამოაშკარავებდეს, სამსახურს გაუწევდა როგორც სამშობლოს, აგრეთვე ხელმძღვანელებსაც, ხოლო სანამ ამირანი გულში იმღერის, ტყუილა ემდურის მოყვარეს,—ბანს რატომ არ მეუბნებიო. კარგი იქნება აგრეთვე ბ. „ძ. მებრძოლი“ გამოამჟღავნებდეს „სიძეს თუ ბიძას“, რომელიც მოღალატეებს მფარველათ მოევლინა და „ახალ ჯარში ახალ ქურქში“ გახვია.

ორიოდე სიტყვა შეურაცხყოფილებზედაც. მათი რიცხვი ძალიან ბევრია შტატ-გარეთ დარჩენილ აფიცრებში. ყოველ შემთხვევაში არა ნაკლები იმ რიცხვისა, რამდენსაც შეადგენს შტატსგარეთ დარჩენილები. არც ერთი იმათგანი არ თვლის სამართლიანათ, რომ ჯარში არ დარჩენ, მაგრამ დავარწმუნებ ბ. „ძ. მებრძოლს“, რომ მათი უმრავლესობა ტყუილათ იკატუნებს თავს. არ ვფიცავ, შეიძლება აქაც შეცდომა, შეიძლება დაგვავიწყდა თავის დროზე სიაში შეგვეტანა ვინმე, რომელიც ამის ღირსი იყო, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ ამის გასწორებასაც შევძლებთ: როცა ვინმეს გააგდებენ, მათ ადგილზე ასეთებს ჩააყენებენ. მაგრამ „ძ. მებრძოლი“ ასეთებზე კი არ მოსთქვამს, ის ჩივის პარტიულ მუშაკ აფიცერზე, ალმასრულ. კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეზე, ძველი რეჟიმის მსხვერპლზე და კატორგა-ციმბირში გამოვლილ აფიცერზე. მაგრამ თუ „ძველი მებრძოლი“ კომისიის მუშაობას იცნობს, ეცოდინება, რომ ასეთი აფიცრებიდან თუ დარჩა ვინმე შტატ გარეშე, ეს იმიტომ კი არა, რომ კომისიამ ის სიაში არ შეიტანა, არამედ იმიტომ, რომ თვით არ ისურვეს შესაფერ ადგილზე დარჩენა, თხოულობდენ დიდ თანამდებობას, სადაც პოლიტიკური სტაჟი არ კმაროდა. ციხე-ციმბირი რომ კმაროდეს, მაშინ ჩვენ ბედს ძაღლი ვერ დაყეფდა, ჩვენისთანა სარდლები მაშინ მთელ ქვეყანაზე არავის ეყოლებოდა.

დამფ. კრ. სამხედრო კომისიის წევრი

ზ. გურული.

# პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში

15 აგვისტოს შესდგა თფილისის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს სხდომა. წარმოდგენილი იყო 22 კავშირი 30 დელეგატით. თავმჯდომარეობს ამხ. ხელაძე. ფრონტის „პროლეტარულ დღის“ მომწყობ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ბახტაძე. კომისიას სხდომა ჰქონია 8 აგვისტოს, მოუწვევია კოოპტაციით ამხანაგები, რომლებიც აქტიურ მუშაობას ეწევიან დანარჩენ კომისიის წევრებთან ერთად ამ დღის მოსაწყობად. კომისიას შეუძლებლად მიუჩნევია ასე ცოტა ხნის განმავლობაში, რაიც მის განკარგულებაში დარჩა (სულ ცხრა დღე) ჩვიდმეტ აგვისტომდე, წინასწარი მუშაობის დამთავრება და „პროლეტარულ დღის“ მოწყობისათვის დაუნიშნავს ოცდა თერთმეტი აგვისტო. კომისიას დაუგზავნია მწარმოებლებისთვის მოწოდებები, რომ ამ დღის კარგათ ჩატარებას მათ მხარი დაუჭირონ, აგრეთვე მთავრობასაც ეთხოვა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა. თუ თავისი ნებით არ დათანხმდნენ მწარმოებლები და ურჩობა გაგვიწიეს ამ დღის ისე ჩატარებაში, როგორც ეს კომისიას აქვს შემუშავებული, საბჭოს შესწევს იმდენი ძალა, რომ ისინი დაიყოლიონ თავის ნებაზეო. არის მცირე რიცხვი მწარმოებლებისა, რომლებიც იმიზეზებენ რა ნედლი მასალის უქონლობას, უარყოფით შეხვდენ ჩვენს მოწოდებასო.

კავშირებმა აღფრთოვანებით მიიღეს საბჭოს გადაწყვეტილება და ამ მხრივ მუშაობა კავშირებში უკვე დაწყებულიაო. კომისიას აქვს ცნობა, რომ ზოგი ამხანაგები, გამოდიან რა კომუნისტების სახელით, ბოიკოტისკენ მოუწოდებენ მუშებს. მათი რიცხვი ერთობ მცირეა. მომხსენებელი სინანულით აღნიშნავს, თუ როგორ ერთსულოვნათ შეხვდენ აქ, საბჭოს სხდომაზე, ამ კითხვას ყველანი, იქ კი ადგილებზე ზოგი ამხანაგები სულ სხვა გვარად მოქმედებენო. მთელი ჩვენი უნარი უნდა გამოყენებულ იქნას, ამბობს მომხსენებელი, რომ წინააღმდეგ ჩვენი მიზნებისა, ეს დღე არ დარჩეს დღეთ ჩვენი რიგის დარღვევის დასაწყისისა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

**სიმონოვი** პრინციპიალურად მომხსენებელს ეთანხმება, მხოლოდ მოითხოვს, რომ თუ უქმე დღე იქნება მიღებული, თანახმად დეკრეტისა 4 საათის მუშაობა დაფასდეს სრული სამუშაო დღის საფასურით, ანდა 8 საათი განაწილებული იქნას რამოდენიმე დღეზე, რომ ყველა მუშამ მიიღოს მონაწილეობა დღესასწაულშიო.

**ელბაქიანი** იცავს მომხსენებლის დებულებებს და საჭიროდ მიაჩნია მოწინააღმდეგეებმა თუ კი ასეთები აღმოჩნდებიან, გამოსთქვან თავისი შეხედულება, რომ საშუალება მოგვეცეს გამოვარკვიოთ, რამდენათ დგანან კლასობრივ ნიადაგზე მოწინააღმდეგენიო.

**ათოევი** ამბობს, რომ ჩვენ გვარდიას იმდენად ვუჭერთ მხარს, რამდენათაც ის იცავს ჩვენს კლასიურ ინტერესებს. გვარდიის მოქმედების ისტორია კი ჩვენ გვეუბნება, რომ ის უხვავდა ამ მხრივ. კავშირი სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურეთა „პროლეტარულ დღის“ მოწყობაში მონაწილეობას იღებს და მუშაობაც დაწყებულია კავშირშიო.

**თამაზაშვილი**, უპასუხებს რა მოწინააღმდეგეებს, ამბობს, ჩვენს წმინდა წვლილში ვერ გავურევთ მწარმოებლების სისხლიან მოგებასო. თუ ჩვენთან არა ხართ ამ წმინდა საქმეში, ხელს მაინც ნუ გვიშლითო.

**კიკნაძე** თხოულობს ბურჟუაზიასაც მივაღებინოთ ამ დღის მოწყობაში მონაწილეობაო. ის წინააღმდეგია კვირა დღის, რადგან უქმე დღეს მუშები არ გამოვლენ სამუშაოთ და მოითხოვს დანიშნულ იქნას ჩვეულებრივი დღე.

**ხელაძე** კიკნაძის და მისი ჯგუფის პოზიცია ჩვენ არ გვაკვირვებს, მაგრამ ის რაც ათოევისაგან მოვისმინეთ ყურადსაღებიაო. ორატორი აშუქებს რ. ს. დ. პოზიციას იქ, რუსეთში, და გაკვირვებულია აქ, ამავე იარლიკის მატარებელ პარტიის წარმომადგენლების მოქმედებით.

**ტოფაძე** უპასუხებს მათ, ვინც მოითხოვდა ბურჟუაზიის დახარკვას, ბურჟუაზია უკვე დახარკულია 52 მილიონით მთავრობის მიერ და ნუ გვიშლით ხელს, რომ აკრეფილ იქნას ეს ფულიო. ილაპარაკეს: ფოფხაძემ, ფანცხავამ, ვლადიმიროვმა, გიორგაძემ და სხვებმა. მოხსენებას კრება ერთხმად ღებულობს. სიმონოვის შესწორება, რომ ამ დღის შრომა დაფასდეს დეკრეტის მიხედვით, უარყოფილ იქნა ყველა ხმებით, გარდა შესწორების შემომტანის ხმისა.

სატარიფო პალატის, მისი მუშაობის და მნიშვნელობის შესახებ ამხ. მანდელშტამი იმეორებს თავის შინაარსიან მოხსენებას, რომელიც მან წაიკითხა 11 აგვისტოს მუშათა აუდიტორიის წინაშე, შრომის ბირჟის შენობაში. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათის დასასრულს მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „კავშირთა საბჭომ, მოისმინა და იმსჯელა რა ამხანაგ მანდელშტამის მოხსენებაზე, სატარიფო პალატის მუშაობის და მნიშვნელობის შესახებ, ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის ძველ დადებითი მასთან დამოკიდებულებას, სთვლის რა მას, დღევანდელ პირობებში მუშათა კლასისათვის უსათუოდ სასარგებლოთ და საჭირო დაწესებულებათ. მისი მოღვაწეობის მიმართულება მიაჩნია სწორ და მიზანშეწონილად, რაც არ შეიძლება, რომ დაიჩრდილოს იმ მცირე დეფექტებით, რომელსაც ალაგი ჰქონდა მის მუშაობის პირველ ნაბიჯებში, რომლის აცილება მომავალში ადვილი საქმეა პროფესიონალურ კავშირების ცხოველ მონაწილეობის მიღებით მის მუშაობაში და შეგნებულად მის მხარის დაჭერაში. ამისთვის საბჭო ერთხელ კიდევ ადგენს, ყოველ მხრივ მხარი დაუჭიროს მას და აქეთკენ მოუწოდოს ყველა პროფესიონალურ კავშირებს.

შ.



კოლია მგელაძე

ამა წლის 7 თებერვალს დენიკინის ჯარის ვერაგულათ თავდასხმის მსხვერპლი გახდა მესამე ქვეითა რაზმის ზედმდეგი გრიგოლ (კოლია) არსენისძე მგელაძე.

მან სწავლა დაამთავრა ფოთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში. რევოლიუციის დაწყების ხანებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში.

როდესაც ბათუმს ოსმალები შემოესია, ის, ჯერ კიდევ 18 წლის ჭაბუკი, პირველად ეწერება ჯარში და თავის ამხანაგებსაც აქეთკენ მოუწოდებს. ის დანიშნული იქნა მესამე ქვეითა რაზმის ტყვიის მფრქველთა გუნდში, სადაც დიდი ნიჭი და საქმისადმი ერთგულობა გამოიჩინა. პირველად მონაწილეობა მიიღო სამეგრელოში ბოლშევიკური ბრბოების წინააღმდეგ, შემდეგ ბოლშევიკების წინააღმდეგ სოხუმის ოლქში—პირველად ახალ ათონის და მეორედ ტუაპსეს ბრძოლაში მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნა მეოთხე და მესამე ხარისხის გიორგის ჯვრებით და დანიშნული იქნა გუნდის ზედმდეგად. სომხეთთან ომის დროს ის გაიწვიეს ფრონტზე, სადაც სიმამაცე გამოიჩინა და შულავერის აღების დროს დაჯილდოვებულ იქნა მეორე ხარისხის გიორგის ჯვრით. შემდეგ გაგზავნეს სოჭაში, იქ ბედმა უმტყუნა და დენიკინის ჯარის თავდასხმის დროს დასჭრეს მკერდში, რისგანაც გარდაიცვალა.

ასე დაამთავრა ახალგაზრდა კოლიამ თავისი სიცოცხლე. როგორც სამშობლოს და თავისუფლების მოტრფიალემ, მან თავისუფალ მამულს გმირულად შესწირა თავი.

მშვიდობით, ძვირფასო კოლია! შენ გამოესალმე სიცოცხლეს იმ დროს, როდესაც ჰყვაოდი, იმედის თვალით შესცქეროდი მომავალს...

ეს კი იცოდე: შენი სახელი დაუვიწყარი იქნება მთელს მესამე ქვეითა რაზმის ოფიცრებსა და ჯარისკაცებში.

შტაბს-კაპიტანი ხ. ანთელავა

# პასუხად „სახალხოელებს“

„სახალხო საქმის“ 599 ნომერში მეთაურ წერილში რედაქცია, ეხება რა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, სწერს, რომ იგი თითქმის ერთათ ერთი მნიშვნელოვანი დარგია სახელმწიფო მეურნეობისა, სადაც ადმინისტრაცია მენშევიკურია, ხოლო მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა სოციალისტ-ფედერალისტურიო.

მე არ ვიცი თუ საიდან ან რომელ წყაროებიდან აიღო პატივცემულმა რედაქციამ ასეთი ცნობები, როცა მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა ან სოციალ დემოკრატებია, ან მისი თანამგრძნობი. მართალია ცენტრალურ გამგეობაში დღეს ს.-ფედერალისტები არიან მოკალათებული, მაგრამ თუ რა მახინაციების წყალობით მოხდა ეს ყველამ კარგათ იცის. იციან ისიც, რომ მოსამსახურენი, მიუხედავათ ცენტრალურ გამგეობის ცდისა, მას არ ეკარება და სამჯერ დანიშნულ თფილისის მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 900 მოსამსახურეთაგან, როგორც იყო 30—50 კაცამდე მოუყარეს თავი და ისინიც, როგორც კი ადმინისტრაციის საკითხს შეეხენ, ჩამოშორდენ კრებას და „უჯარო ღენერლები“ იძულებული შეიქმნენ კრება დაეშალათ. ამას გარდა, იცის თუ არა პატივცემულმა „სახალხო საქმის“ რედაქციამ ის, რომ ახალ ცენტრალურ გამგეობას არც ერთი პროვინციის დაწესებულებების მოხამსახურეთა საერთო კრებისაგან, მიუხედავათ არსებულ ტრადიციისა, ნდობა არ მიუღია და მეორე, მოეხსენება თუ არა ამავე რედაქციას ის გარემოება, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ცენტრალურმა გამგეობამ დაუგზავნა ცირკულიარი რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს გამოეტანათ ადმინისტრაციის საწინააღმდეგო რეზოლიუციები „კავშირის შევიწროებისათვის“ არავისგან პასუხიც არ მიუღიათ და—თუ ეს ყველა მოეხსენება რო, უფლებით ამბობს იგი, რომ მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა ფედერალისტებიაო?

რაც შეეხება ბ. „ლის“ სოციალ დემოკრატების წინააღმდეგ მიმართულ დემაგოგიას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ოლქის ადმინისტრაციას არც მენშევიკები ვემადლიერებით არა იმ მხრივ, რა მხრივაც მას ბ. „ლი“ და მისი უჯარო ღენერლები. ჩვენ ვემდურით მას 1) იმისთვის, რომ დღემდე მას ვერ მოუშორებია უწყებისათვის მუქთახორა არარას მკეთებელი უწყებისათვის საზარალო მეტხორცი ბ. „ლის“ და მის უჯარო ღენერლების მფარველობის ქვეშ მყოფი მოსამსახურეები, რომლებიც მხოლოდ ჯამაგირს იღებენ და მათი საქმის კეთება კი სხვებს უხდებათ და 2) დღემდე სოც.-ფედერალისტების პარტიის კალთას ქვეშ შეფარებული ნიკოლოზის დროის პოლიტიკური მაბეზღარ—ჯაშუშები, „მაშენიკობაში და პადლოგებში“ შენიშნული პირები.

აი რაში ვამტყუნებთ ს.-დემ. ოლქის ადმინისტრაციას და ამ საყვედურს არ მოუშლით მანამ, სანამ უწყებას არ მოაშორებს ასეთ არა-სასურველ პირებს.

ნუ სწუხართ ბ. „ლი“, კავშირი მენშევიკების მიერ არის შექმნილი და ვინც ის შექმნა, მის მოვლასაც შესძლებს, მის კანონიერ უფლებებს არავის არ გააქელვინებს. მხოლოდ, რაც შეეხება იმ უკანონო უფლებებს, რომელიც თქვენ გსურდათ და გსურთ ეხლა მოახვიოთ თავზე კავშირს, ჩვენ მას ვეწინააღმდეგებით, რადგან თქვენ იგი გაინტერესებთ არა როგორც კავშირი, არამედ როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია.

ელვა.

## ტყიბულის მაღაროებში

ივლისის უკანასკნელ რიცხვებში გაგზავნილი იყო ტყიბულში კომისია, რომელსაც დაევალა ქვა ნახშირის მაღაროების არსებულ მდგომარეობის გამორკვევა და აგრეთვე გარჩევა იმ უთანხმოებისა, რომელმაც თავი იჩინა მაღაროების ადმინისტრაციის და პროფესიონალ. კავშირის შორის.

კომისიამ გამოარკვია, რომ მუშაობა მაღაროებში ჯეროვანად მიმდინარეობს და უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში შესამჩნევად გაუმჯობესება დაეტყო მაღაროებს ტეხნიკური მხრით.

კომისსამ წარმოადგინა დასკვნები მთელი რიგი საკითხების შესახებ, რომლებიც მიღებული იქნებიან მხედველობაში ტყიბულის მაღაროების საკითხის გადაჭრის დროს და წარედგინებიან მთავრობას სათანადო მოხსენებაში.

რაც შეეხება უთანხმოებას ადმინისტრაციის და პროფესიონალურ კავშირის შორის. კომისიამ გამოარკვია, რომ ეს უთანხმოება დაიბადა იმიტომ, რომ გავრცელდა ხმები მაღაროების კერძო პირებზე (სახელდობრ იმ ინჟენერებზე, რომელნიც ეხლა მაღაროებს განაგებენ) გადაცემაზე. ამ ნიადაგზე წამოყენებულ იყო პროფესიონალურ კავშირის მიერ ბრალდებები ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომელნიც, როგორც კომისიამ გამოარკვია, სერიოზულ საფუძველს მოკლებულნი არიან.

საერთოდ კომისიის დასკვნით ტყიბულის მაღაროები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არიან, მთავრობის მიერ მათი საბოლოო გამოსყიდვა უწინდელ პატრონებისაგან სასურველად არის მიჩნეული, არსებულ ადმინისტრაციის მუშაობის გეგმა კომისიის მიერ მოწონებულია.

# მუშათა შორის

### ქუთაის-აბასთუმნის გზა-ტკეცილი.

ეს გზა-ტკეცილი ამ ჟამად უპატრონოდ არის მიტოვებული, მეტადრე ზეკრის რაიონში სულ გაფუჭებულია. აქა-იქ ქვები ყრია, ბევრგან ოღრო-ჩოღრო ამოღრმავებულია, გარეშემო ორმოები ამოვსილია სილით, ერთი სიტყვით, უბრალო სოფლის გზას ჰგავს, და ჩვენი მთავრობა ხარჯავს ტყუილ უბრალოდ ამდენ ფულს. გზაში ვერ ნახავ ვერც ერთ მუშას, რომ მუშაობდეს. გზის უფროსი კი, თურმე ნუ იტყვით, ორი-სამი თვე გაივლის არც კი დახედავს გზას, თუ რას აკეთებენ მუშები. მუშები კი არხეინად თავიანთ საქმეს მუშაობენ შინ და ჯამაგირის აღების დროს ყველა მოვლენ გზის უფროსთან და იღებენ მუქთად ფულებს. რა თქმა უნდა, დანაშაული მიუძღვის უფროსს, რომელიც თავის მოვალეობას არ ასრულებს, არ დაიარება გზაში, რომ შეხედოს რა არის გაფუჭებული და გაკეთებული.

ჰა აფრინეს შრომის სამი-
ჯამაგირი მოგვიმატეთ,
კრებაში ვართ, ხელფასის
არიან და მოვალეობას კი
არც ისე ნაკლები ხელფასი
დურეს მდგომარეობაში იყვნენ,
ანეთამდის ილებენ თვეში და ეხ-
ატათ კიდევ, ეს სხვაა. ამ გზას
კნელობა აქვს სტრატეგიული მხრით
სამხედრო მიზნისათვის. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს იმერეთ-მესხეთ-ჯავახეთის მშრომელი ხალხისთვის სხვადასხვა საქონლის გადატან-გადმოტანისთვის, ვინაიდან ეს გზა უახლოესია იმერეთიდან მესხეთ-ჯავახეთში, ვიდრე რკინის გზით ხაშურ ბორჯომით.

საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის გზატკეცილების უფროსმა ყურადღება მიაქციოს ამ გზას.

შ. გოგოლაშვილი.

---

## ფარმაცევტთა ცხოვრებიდან.

10 აგვისტოს შესდგა ფარმაცევტთა საერთო კრება ქავთარაძის თავმჯდომარეობით. დასმული იყო შემდეგი კითხვები: პროლეტარული ფრონტის შესახებ და დამატებითი არჩევნები გამგეობაში. პირველი კითხვა მწვავეთ იდგა კრებაზე, რადგან ეს კავშირი რაღაც შემთხვევის გამო კომუნისტების ხელში იყო და გამგეობაც სხვაგვარათ უყურებდა კითხვას. გამგეობის მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს ამხ. დგებუაძემ, ცომაიამ (ს. ფ.) შაპიროვმა (კომ.) და სხვებმა. კომუნისტებმა ბევრი აფტკიცეს, არა გვაქვს ფრონტი, არ არის საჭირო დახმარებაო. მაგრამ კრებამ დიდი ხმის უმრავლესობით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) თფილისის აფთიაქებში მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ფრონტის დღის შესახებ, მხურვალეთ ეგებება პროფ. ცენტრის მოწოდებას და სდებს თითო დღის ხელფასს ჩვენი სახელოვანი და თავისუფლების დამცველ გვარდიასა და ჯარის სასარგებლოთ. ამორჩეულ იქნა სპეციალური კომისია ამის სისრულეში მოსაყვანათ. შემდეგ მოხდა არჩევნები ფარული კენჭის ყრით. გაიდენ სოც.-ფედერალისტები—ცომაია, ლექავა და კახიანი, სოც. დემოკრატები—დგებუაძე, სარჯველაძე და დოლიძე, კომუნისტები სასტიკათ დამარცხდენ. გაირჩა სხვა წვრილმანი კითხვებიც.

პ. ლესელი.

---

# ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 7 აგვისტოს შესდგა მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. სათათბირო ხმით სხდომას დაესწრენ სამხედრო სასურსათო მაღაზიიდან ს. ოძაგველიძე და ნ. კაშია, კარლინსკის ქარხნის მუშებიდან და სამხედრო ჰოსპიტალიდან ამხ. სარჯველაძე.

კომისიების მოხსენებები ეხებოდა უმთავრესად რაიონში პარტიულ მუშაობის გაძლიერებას და ავლაბრის რაიონში კულტურულ დაწესებულების შექმნას.

საფინანსო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მათ სომეხთა ეროვნულ საბჭოს სექციის სასარგებლოთ შეუკრებიათ 700 მან.

პარტიულ სკოლის დაარსების შესახებ ლაპარაკობს ამხ. წივწივაძე. ის საჭიროდ სცნობს იმ მუშათა წრეების თავის მოყრას ავლაბრის რაიონში, რომლებიც გაფანტული არიან სხვა დასხვა საწარმოვო დარგებში. კოლექტივს ამის შესახებ პრინციპიალური გადაწყვეტილება უკვე ჰქონდა გამოტანილი. ამხ. წივწივაძის წინადადება მიღებულ იქნა.

ქალთა ორგანიზაციასთან ახლად დაარსებულ არტელს, რომელშიაც ასი უმუშევარი მკერავი ქალი შედის, კოლექტივმა აღუთქვა სამუშევრის გამოძებნაში დახმარება.

სამხედრო ჰოსპიტალიდან მოხსენებას აკეთებს ამხ სარჯველაძე. ის აღნიშნავს ჰოსპიტალის ადმინისტრაციის ტენდენციას ყოველგვარ პოლიტიკურ ორგანიზაციების მოწყობის წინააღმდეგ და წინადადებას აძლევს კოლექტივს, რომ მიიღოს შესაფერისი ზომები. კოლექტივმა გადასწყვიტა მოკლე ხანში გამართოს სამხედრო ჰოსპიტალში ფართო კრება. ასეთივე მდგომარეობა არის არამიანცის საავათმყოფოშიდაც, ამიტომ კოლექტივმა გადასწყვიტა ამ საავათმყოფოშიდაც გამართოს ფართო კრება და მოუწოდოს ადგილობრივ მუშებს შეკავშირებისაკენ

არ: უმბრიევი მოახსენებს კოლექტივს იმ აუწერელ მდგომარეობის შესახებ, რომელიც არსებობს ახალქალაქის სომხებ შორის, ის აღნიშნავს ამ ქალაქში დაშნაკცაკანთა დამღუპველ პოლიტიკას, რომლის წყალობით სომხის ერი მრავალ ტანჯვა წვალებას განიცდის, აღნიშნავს აგრეთვე ქართველ დაშნაკელის ვეშაპელის მოქმედებას ამ მაზრაში, რომ ეროვნულ დემოკრატები ყველაფერს სურსათ-სანოვაგეს აძლევენ სომხებს და სოციალ-დემოკრატები ამის შესახებ არ ზრუნავენო. უმბრიევი მოუწოდებს სომეხ ამხანაგებს მომავალ სომხურ ეროვნულ საბჭოს არჩევნებისთვის მუშაობის გაძლიერებას, და აგრეთვე მატერიალურ დახმარების აღმოჩენას. კოლლექტივმა ფართო უფლებები მიანიჭა იმ კომისიას, რომელიც არჩეული არის სომხური სექციიდან, რათა მან გამართოს წარმოდგენა-ლექციები ახალ-ქალაქის დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოთ.

მდივანი ოლ. ბ—ძე

---

# პროვინცია

**კახეთი.** ყველა მაზრაში არის გახურებული მუშაობა მამულის გადაცემის შესახებ, თუ შარშან რომელიმე სოფელში დარჩომილა ჩამოურთმეველი მამული, დღეს იქაც ჩამორთმეულია, და დაწყებულა გადაცემა მიწების. სიღნაღისა და თელავის მაზრებში ორ თვეზე მეტია, რაც სწარმოებს აგრარულ რეფორმის გატარება; ამის გამო 27 ივლისში სოფ. გურჯაანში შესდგა კრება ველისციხის ახალშენის და გურჯაანის თემთა წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც დაესწრნენ ქ. სიღნაღის ერობის გამგეობის წევრი დ. კარიჰაშვილი, იგივე თავმჯდომარეთ აირჩიეს, ი. ცისკარაშვილი, აგრარულ რეფორმის გამგე სიღნაღის მაზრაში, რომელმაც მოხსენება გააკეთა რეფორმის მნიშვნელობაზე და მის მომავალზე ხალხში, მდივნათ, მიმღებად განმანაწილებელ კომისიისა გურჯაანის რაიონში შ. მირიანაშვილი. კრება იყო მოწვეული იმ მიზნით, რათა აერჩია სარაიონო კომისია, გაერჩიათ მამულის შეფასება, კატეგორიებად დაყოფა და სხვა საკითხები, დაკავშირებულნი კანონის ნაყოფიერად გატარებასთან.

ნიადაგის რაოდენობაზე თუ რამდენი დესეტინა მიეცეს უმიწა-წყლო პირს საფონდო მამულიდან, კრება ადგენს—მიეცეს 7 დესეტინა და ამდროსვე იქმის მხედველობაში მიღებული ოჯახის შემადგენლობა, რის გამოც შეიძლება კომისიამ 7 დესეტინაზე მეტი მისცეს.

მამულები შემდეგ კატეგორიად გაიყო: I. სავენახე: 1) საუკეთესო მიწა 2) საშუალო; II სახნავი: 1) კარგი მოსავლიანი, 2) მცირე მოსავლიანი შესაფერისად მამულის დაყოფისა ხარისხებად, მამულის ფასიც შეიმუშავეს შემდეგი: სავენახე—1) საუკეთესო მიწა დესეტინა—1000 მანეთი. 2) საშუალო დესეტინა—600 მან. სავენახე—1) კარგი მოსავლიანი დესეტ.—600 მან. 2) მცირე მოსავლიანი დესეტ—400 მან., მამულის განაწილებას, რომელსაც შეუდგება კომისია, მას აქვს უფლება მამულის მიხედვით ადგილობრივ მოუმატოს ფასი.

წელს აქეთ პურის მოსავალი დიდია, თითქმის ნახევარი ყანა გალეწილია, მაგრამ პურს მაინც ფასი არ დააკლდა, ამ ჟამად ფუთი ფქვილი ადგილობრივ იყიდება 250 მან. ღვინო ღირს საპანლე (48 ვედრო) 10,000—12,000 მან. ყველა სოფლებში მოეწყო ფრონტის დღეები, რომელშიაც ხალხმა დიდი მონაწილეობა მიიღო და ერთგვარი თვითდაბეგვრაც კი მოახდინეს, ამ მხრივ გურჯაანში მოწყობილმა საღამომ საუკეთესოდ ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო.

შ. მირიანაშვილი.

---

**ცხინვალში** კომისრად გახლდათ ბ-ნი ვ. ბოცვაძე. ამ დროს აქ დიდ უწესოებას ჰქონდა ალაგი, და თითონაც ბევრი რამ უკანონობა ჩაიდინა. მან სოფელ მოღვრეკისის ოვდელს დართო ნება, რომ აეკრიფა დრამა—გაეტანა მილიციონერები და მღვდელი შეუდგა დრამების მოკრებას, რომელიც მოსახელე სახლში არ იყო და კარები იყო დაკეტილი, მათ დაამტვრიეს კარებები და ისე გამოიტანეს პური. რომელიც სახლში იყო და უარი უთხრა, ძალა უნებურად გამოატანინეს და ისე შეისრულა მღვდელმა თავისი წადილი. იყო კიდევ ასეთი შემთხვევა: სოფელ ძარწემში, ჭოველიძემ მოჰკლა ფიდო ჭოველიძე, მკვლელი მაშინვე დააპატიმრა ბ-მა ბოცვაძემ ორი დღის შემდეგ მკვლელი განთავისუფლდა, რადგანაც მკვლელმა გადაიხადა ორასი თუმანი. როდესაც ბ-ნი ბოცვაძე ცხინვალიდან დაითხოვეს, მის ალაგზე დანიშნა კომისრად ციცქიშვილი. ციცქიშვილმა დაატუსაღა პ. ჭოველაძე, რადგანაც იცოდა, რომ ის იყო დამნაშავე მკვლელობაში. პასუხად ამას აძლევდა: მე ბოცვაძემ გადამახდევინა ორასი თუმანი და მეც რაღაზე მიჭერთ, დღესაც ეს მკვლელი ციხეში გახლავთ. კიდევ იყო ასეთი შემთხვევა. მოჰკლა უდანაშაულოდ ცხინვალის ტყის „ლესნიჩი" ნიკო დათაშვილი, რომელიც თავს იმართლებდა უცაბედათ მოხვდაო, ეს რაღა უკაბედობა იყო, როდესაც რევოლვერი ამოიღო და გულში დასცა. ეს გახლდათ იგივე ბ-ნი ბოცვაძე. კიდევ იყო ასეთი შემთხვევა. მის დროს მუდამ ძარცვა-გლეჯა და ხალხის ხოცვა იყო ბ-ნი ბოცვაძის დათხოვნის შემდეგ სიმშვიდე დამყარდა. ახლა ხმები დადის ვითომდა ბ-ნი ბოცვაძე ისევ კომისრად დაუნიშნავთ კახეთის მაზრაში. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციეს ვისგანაც ჯერ არს.

ლიახვისპირელი.

---


# განცხადებანი

ცნობილმა ძმ. ჩარექოვების

**ქირის ქარხანამ**

ქ. ქუთაისში დაიწყო წარმოება; მიიღება დაკვეთა ვაგონებით და წვრილად.

საქირს ტელეფონი № 172.

ქალაქის კანტ. ტელეფ. № 74.

(5—1) პატივისც. გრ. ჩარექოვი.

---

ამა 12 აგვისტოს თფილისიდან ბათუმში მომავალ სამგზავრო მატარებელში

**დავკარგე**

დერბის, ქართველ-მუსულმანთა ბატალიონის ბეჭედი. მნახველებს ვთხოვ აღნიშნული ბეჭედი დამიბრუნონ ქ. თფილისში, სამხედრო სამინისტროში. წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭედი ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1) პოლკოვ. ა. აბაშიძე.

---

**— 1 მანეთი —**

(რუსთაველის პროსპ., № 24).

იყიდება ჟინულით გაცივებული ახალი გაზიანი

**ბორჯომის წყალი**

ჭიქა მანეთად.

(2—2) დავით ქებაძე.

---

ექიმი გ. მ. მუხაძე

თფილისიდამ გაემგზავრა და 1 ენკენისთვემდის ავადმყოფების მიღება შესწყვიტა. (5—1)

---

დოქტორი **შ. გოლდზრტეინ**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

---

ექიმი **მ. ფ. მხალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

---

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის

**კერძო საავადმყოფო**

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღმოს 8 საათამდე. (24—16

---

ბ ო რ ჯ ო მ შ ი

პროფ. დოქტ. მედიცინისა შ. ვ. გოსიე ... იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფ... სნეულებს. მისამართი: სასტუმრო ... ლური წყლები" (Минеральныя воды...

---

ექიმი **შ. ა. ფაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედ... (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერ... (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნ... ბანი. ავადმყოფების მიღება ყოველ ... ლის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ... რაობით მხოლოდ დილით. მისამ: ... ქუჩა № 33.

---

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივ... ტეტისა იღებს შინაგან, საბავშო და ... სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დილ... 2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიძ... თიაქის გვერდით. ტელეფონი 14—1...

---

ექიმი **ა. დ. კაკალია**

სიფილისი და ვენერიული სნეულ... ნი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება ... ლით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მისამ... პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № ... ტელ. 14—28

---

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მამაცა...**

იღებს სპეციალურად—მ ა ლ ა რ ი ი თ (... და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სის... ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარ... და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ... ყველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ... ტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № ... ზემელის აფთიაქის ახლო.

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერ... ტეტისა **შ. ს. მიმრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულ... იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამ... ბის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა სხივებით, დიდი სალენოიდი და არსენ... ტიკით ფილტვების, გულის და სხვა შინ... ნი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფას... ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სა... მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—...

---

საექიმო კაბინეტი

ექიმ **ა. მ. ტუმბილაშვილის**

ძიილებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და ... გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლ... მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ... ლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (... ქუჩების კუთხე 5—7 ნაშ. საათ.

---

ექიმი ქალი **ს. შ. შიუკო-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსი... ტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგი... კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვის... ტომდე.

---

ექიმი **დ. ტ. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხ... რის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—... ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართ... წინდაროვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღ... პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

---

თ ე ლ ა ვ ი ს ს ა მ ა ზ რ ო ე რ ო ბ ა

**იწვევს ექიმებს** ერობის რაიონულ საავადმყოფოების გამგის თანამდებობაზე. ექიმებისთვის სავალდებულოა ცოდნა ქართული ენისა. თვეში ჯამაგირი 3000 მანეთი.

თხოვნები და curriculum vitae უნდა იყოს წარდგენილი ერობის გამგეობის სახელზედ. (2—1)

---

**კონსერვატორიის დარბაზში** (გრიბოედოვის ქ.)

ოთხშაბათს, 20 აგვ. საქ. ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის სასარგებლოდ წაკითხულ იქნება ლექცია ჰ. აზატიანის მიერ შემდეგ თემაზე:

**ეროვნება, ეროვნული საკითხი და სოციალიზმი.**

ლექციის შემდეგ კამათი. დასაწყისი შვიდ ნახ. საათ...

---

**თფ. პედაგოგიური ინსტიტუტი**

(ყოფილი საოსტ. ინსტიტუტი), არსებული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აცხადებს შემდეგს:

1) ინსტიტუტი შესდგება ორი საფეხურისაგან. 2) თითოეული საფეხურის კურსი ორწლიანია: 3) პირველი საფეხური ამზადებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს. 4) მეორე საფეხური ამზადებს საშუალო სკოლის მასწავლებელს. 5) პირველ საფეხურზე მიიღებიან ყველანი, ვისაც მთავრობის ვაჟთა ან ქალთა საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული, აგრეთვე საოსტატო სემინარია, ან და ვინც პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გამომცდელ კომისიაში ჩააბარებს გამოცდებს (პროგრამები ინახება ინსტიტუტში). 6) მეორე საფეხურზე მიიღებიან ან ერთ ერთ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, ან თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც ინსტიტუტის პირველი საფეხური აქვთ გავლილი.

თხოვნები მიიღება თფილისში (პედაგოგ. ინსტიტ., დიდი მთავრის ქ. № 91) დირექტორის ბინა. (7—3)

---

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

**„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"**

იღებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთან სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, ფეხსაცმელის და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (10—5)